ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.02.2020
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/20

შეკითხვა:

ადვოკატმა კლიენტს გაუწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. კლიენტს სურს სისხლის სამართლის მიმართულებითაც მიიღოს იურიდიული კონსულტაცია და დაიცვას იმავე ადვოკატმა მისი ინტერესები. ადვოკატმა წინსწრებით, ავანსის სახით მოითხოვა ჰონორარის გადახდა. კლიენტმა განუცხადა, რომ ჯერ ვერ შეძლებს აღნიშნულის გადახდას. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა რა ფორმით უნდა შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დაარღვევს თუ არა რომელიმე ეთიკურ ვალდებულებას ის?

ანალიზი:

მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ ადვოკატმა კლიენტთან დაასრულა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სამოქალაქო საქმისწარმოებაზე. მხარეებს უწევთ ახალ საადვოკატო მომსახურების საგანზე შეთანხმება. შესაბამისად, მათ შორის თავიდან იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ისინი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით უნდა შეთანხმდნენ სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების დაწყების თაობაზე. აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის უფლებას - ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში. მსგავს საკითხზე იხ. კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია.

https://gba.ge/pdf/5dde851473488.pdf/011.19%20gacemis%20tarigi%2013.02.19.pdf

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.